

და არა მთლიან წელს. მხედველობაში არ მიიღება ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის 24 XXXVIII, 3 ს) მუხლები. ამასთან, დანაშაულით მიყენებული ზიანის მოთხოვნისას პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ზუსტ მითითებას ზიანის ოდენობაზე.

▶ 7 – 7/2020

თვითკონტრაქტების აკრძალვის გამო ბათილია საკუთარი თავისთვის მარწმუნებელი მემკვიდრის სახელით ნივთზე საკუთრების გადაცემა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე რწმუნებულსა და მამკვიდრებელს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 114-ე მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება № ას-543-516-2013

ფაქტობრივი გარემოებები: სამივე ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა რწმუნებულის საკუთარ თავთან მარწმუნებლის სახელით უძრავ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა. მოპასუხის პოზიცია, რომ განსახილველ მოვლენებამდე მარწმუნებლის მამკვიდრებელმა ხელწერილში აღნიშნა იმავე ნივთის მის სასარგებლოდ გასხვისების შესახებ, გათვალისწინებული არ ყოფილა. ამ გადაწყვეტის საფუძველად სასამართლო ისევ სკ-ის 114-ე მუხლზე უთითებს.

კომენტარი: სასამართლოს გადაწყვეტა ეწინააღმდეგება თვითკონტრაქტების აკრძალვის დანიშნულებას. აშკარაა, რომ კანონმდებლობით არ არსებობს ინტერესი შესრულების გარიგების¹ ბათილობისა, თუ ხელშეკრულება, რომლის შესასრულებლადაც ის დაიდო, ნამდვილია („გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შე-

სასრულებლად“). მოცემული შემთხვევის მაგალითზე, თუკი წარმოდგენილმა პირმა უკვე გამოავლინა ნივთის განკარგვის ვალდებულების საკუთარ თავზე აღების ნება, მას აღარ შეუძლია მიუთითოს იმ გარიგების ბათილობაზე, რომლითაც რწმუნებულმა მისი სახელით ეს ვალდებულება შეასრულა და საკუთარ თავს ნივთზე საკუთრება გადასცა. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მსჯელობა უნდა დათმობოდა იმის დადგენას, არსებობდა თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მამკვიდრებელმა იკისრა ნივთის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე უთითებდა მამკვიდრებლის მიერ შედგენილ ხელწერილზე. იქიდან გამომდინარე, რომ უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულება ფორმასავალდებულოა (სკ-ის 323-ე მუხლი), სასამართლოს წერილობით მტკიცებულებით, რომლითაც მხოლოდ გამყიდველის ნების გამოვლენა დაფიქსირებული, უნდა დაესკვნა, რომ ნასყიდობა იყო ბათილი ფორმადაცვლელობის გამო (სკ-ის 59 I მუხლი), შესაბამისად, რწმუნებულის მიერ საკუთარ თავთან დადებული (განკარგვითი) გარიგება ბათილი იყო ქართულ კანონმდებლობაში მოქმედი კაუზალობის პრინციპის გამო. ამისთვის გვერდის აქცევა და საკუთარ თავთან სხვისი სახელით დადებული ნებისმიერი გარიგების უაპელაციოდ ბათილად მიჩნევა ეწინააღმდეგება სკ-ის 114-ე მუხლშივე² დადგენილ გამონაკლისს.

▶ 8 – 7/2020

სტანდარტული პირობა, რომლითაც მხარეთა შორის დავა უნდა გადაწყდეს საარბიტრაჟო წარმოებით, უნდა განიმარტოს იპოთეკის მოვალის სასარგებლოდ, სკ-ის 346-ე მუხლის მიხედვით: იპოთეკის საგანზე რეალიზა-

¹ რუსიაშვილი, სირდაძე, ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2019, 114.

² გაუგებარია ამ გადაწყვეტილების ფაბულის განხილვა ისეთ შემთხვევად, როდესაც წარმოდგენილი პირი, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გამო ვალდებულია, მოინწონოს წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება, *ჯორბენაძე, განჯერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017 114-ე მუხლი, მე-13 ველი. ამის საჭიროება მსგავს გარემოებებში არ არსებობს.